



სარჩელის რეგისტრაციის N \_\_\_\_\_

მიღების თარიღი: \_\_/\_\_/\_\_

## კონსტიტუციური სარჩელი

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით საქართველოს ნორმატიული აქტის შესაბამისობის თაობაზე („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)

კონსტიტუციური სარჩელის ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: [const@constcourt.ge](mailto:const@constcourt.ge); ვებგვერდი: [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge).

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილი ადგილი არ იქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმა დანომრეთ.

# I. ფორმალური ნაწილი

## 1. მხარეთა რეკვიზიტები

### 1.1 მოსარჩელე/მოსარჩელები

1. ტიტულო ჩორგოლიანი		
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

### 1.2 მოსარჩელის წარმომადგენელი/წარმომადგენლები

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა		
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

### 1.3. მოპასუხე/მოპასუხეები

საქართველოს პარლამენტი	ქ. ქუთაისი, აბაშიძის ქ. #26	032 228 90 06
სახელწოდება	მისამართი	ტელეფონი

## 2. სადავო ნორმატიული აქტი

### ა) აქტის დასახელება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მიმღების/გამომცემის დასახელება	მიღების/ გამოცემის თარიღი
საქართველოს პარლამენტი	2009 წლის 9 ოქტომბერი

### ბ) სადავო ნორმა/ნორმები [შენიშვნა 1](#)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 და 136-ე მუხლის პირველი ნაწილი

შენიშვნა 1 - გთხოვთ, მიუთითოთ ნორმატიული აქტის კონკრეტულად რომელ ნაწილს – პრეამბულას, კარს (წიგნს), თავს, მუხლს, პუნქტს, ქვეპუნქტს, წინადადებას (სასვენ ნიშანს ან/და კავშირს) ან/და სიტყვას ხდით სადავოდ.

**3. საქართველოს კონსტიტუციის დებულება (დებულებანი), რომელსაც ეწინააღმდეგება სადავო ნორმატიული აქტი.**

ა) გთხოვთ, მიუთითოთ კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი ან/და წინადადება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმების შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, დააზუსტოთ, რომელ სადავო ნორმას კონსტიტუციის რომელ მუხლთან, პუნქტთან, ქვეპუნქტთან ან/და წინადადებასთან ხდით სადავოდ. [შენიშვნა 2](#)

<b>სადავო ნორმატიული აქტი (ნორმა)</b>	<b>საქართველოს კონსტიტუციის დებულება</b>
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი	საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი	საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილი	საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი

**4. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სამართლებრივი საფუძვლები:** [შენიშვნა 3](#)

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი და 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-16 მუხლები

შენიშვნა 2 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში მიუთითოთ კონკრეტული სადავო ნორმა და მის გასწვრივ საქართველოს კონსტიტუციის ის დებულება, რომლის მიმართაც მოითხოვთ აღნიშნული სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

შენიშვნა 3 - გთხოვთ, მიუთითოთ საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც უფლებას გაძლევთ მიმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს.

## II.სარჩელის საფუძვლიანობა, მოთხოვნის არსი და დასაბუთება

### 1.განმარტებები სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით

გთხოვთ, დაასაბუთოთ, რომ არ არსებობს თქვენი სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად არმიღების საფუძვლები. [შენიშვნა 4](#)

ა)ფორმით და შინაარსით შეესაბამება „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) შეტანილია უფლებამოსილი სუბიექტის მიერ:

2015 წლის 29 სექტემბერს მოსარჩელე ტიტუკო ჩორგოლიანის ადვოკატმა, სისხლის სამართლის საქმე # ფარგლებში შუამდგომლობით მიმართა ახალციხის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, შსს ბორჯომის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ვიდეო სათვალთვალო კამერებიდან ვიდეოფაილების გამოთხოვის თაობაზე. 2015 წლის 30 სექტემბერს წერილით (იხ. დანართი #1) ირკვევა, რომ სასამართლომ არც კი იმსჯელა დაცვის მხარის შუამდგომლობის თაობაზე და მხოლოდ ახალციხის რაიონული სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის პასუხით შემოიფარგლა. წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დაცვის მხარის მიერ აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. აღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდებულ (მოსარჩელე) ტიტუკო ჩორგოლიანის ინტერესების დამცველს უარი ეთქვა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ სასამართლოს მიერ მსჯელობაზე, ვინაიდან იგი არ წარმოადგენდა სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის დაყენებაზე უფლებამოსილ პირს.

მომჩივნის საქმის განხილვა სასამართლოში გრძელდება. დაცვის მხარე უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საპროცესო მოქმედების - ჩხრეკა/ამოღების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე და ამ გზით მოიპოვოს სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე

---

შენიშვნა 4 - „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ: ა) ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის მიერ); გ) მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი; დ) მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ე) მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით; ვ) არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა; ზ) სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.

მუხლის მე-10 ნაწილი დაცვის მხარეს ავალდებულებს მისი შუამდგომლობით ამოღებული მტკიცებულება პირველადი გამოკვლევების გადასცეს ბრალდების მხარეს. მათ შორის საკუთარი თავის საწინააღმდეგო მტკიცებულებებიც. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დებულება პოტენციური საფრთხეს შეიცავს დაარღვიოს მომჩივნის თვითინკრინაციისგან დაცვის უფლება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მოსარჩელე ტიტკო ჩორგოლიანს დაერღვა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება. შესაბამისად იგი წარმოადგენს უფლებამოსილ სუბიექტს

გ) სარჩელში მითითებული საკითხი არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

დ) სარჩელში მითითებული საკითხი არ არის გადაწყვეტილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ;

ე) სარჩელში მითითებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-8 პუნქტით;

ვ) კანონით არ არის დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და შესაბამისად, არც მისი არასაპატიო მიზეზით გაშვების საკითხი დგება დღის წესრიგში;

ზ) სადავო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შესაძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის;

## 2. მოთხოვნის არსი და დასაბუთება შენიშვნა 5

### 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით“.

მსგავს უფლებამოსილებას მოკლებულია დაცვის მხარე. ნორმის გამოყენების განვითარებული პრაქტიკის მიხედვით, თუ დაცვის მხარე თვლის, რომ მისი პოზიციისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერული მონაცემის შესანახ საშუალებაში ინახება, მან შუამდგომლობით უნდა მიმართოს პროკურორს. ეს უკანასკნელი შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ გადაწყვეტს მიმართოს თუ არა სასამართლოს კომპიუტერული სისტემიდან მონაცემების გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის თობაზე.

მიგვაჩნია, რომ სსსკ-ს 136-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწესებული შეზღუდვა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციით განმტკიცებულ თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენს.

### სამართლიანი სასამართლოს უფლება და შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი ადგენს სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას ა) ცნოს და ბ) დაიცვას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოს მიერ მათი ცნობა, პირველ რიგში, გულისხმობს, მათი, როგორც ყოველი ადამიანის თანმდევი სიკეთის აღიარების ვალდებულებას. დაცვა კი გულისხმობს ამ უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის უზრუნველყოფელი ყველა საჭირო ბერკეტის გარანტირებას, მათ შორის, ამ უფლებების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობის ჩათვლით.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;). შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს სწორედ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების გამოვლინებას - სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გზით გახადოს შესაძლებელი ინდივიდთა მიერ უფლებების დაცვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი,

---

შენიშვნა 5 - გთხოვთ, წარმოადგინოთ დასაბუთება სადავო ნორმის (ნორმების) კონსტიტუციის მითითებულ ნორმასთან შეუსაბამობის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმის (ნორმების) შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, ცალ-ცალკე წარმოადგინოთ დასაბუთება. იმ შემთხვევაში, თუ ეყრდობით საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებებს, გთხოვთ მიუთითოთ საქმის დასახელება და გადაწყვეტილების შესაბამისი პარაგრაფი.

გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.14). ამასთან, უდავოა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის არსს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1). აღნიშნული მიდგომა ცალსახად მიაჩნებს ამ უფლების დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მიუთითებს იმაზე, რომ სამართლიანი სასამართლოს გაუმართლებელმა შეზღუდვამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს უფლებათა რეალიზაციისა და დაცვის კუთხით და შესაბამისად საფრთხე შეუქმნას სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასაც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ელემენტს. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის № 3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II.3. 16); (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, § 33, *Feldbrugge v. the Netherlands*, § 44)

კერძოდ, „თანასწორობის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ მხარეები ერთმანეთთან მიმართებით არ დაექვემდებარონ განსხვავებულ მოპყრობას და რომელიმე არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში.“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის № 3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“ II.3.19) ხოლო აღნიშნული, თავისმხრივ განაპირობებს, იმას, რომ პროცესი შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით წარიმართება. ეს უკანასკნელი გულისხმობს სწორედ „მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, წარადგინონ მათი პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები, არგუმენტები და ამ გზით მოახდინონ გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე.“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის № 3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II.3.21). შესაბამისად, „შეჯიბრებითობის პრინციპი, სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის და საქმეზე “სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების” მიღების უზრუნველყოფის საშუალებას, ინსტრუმენტს.“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის № 3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო



კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II.3.2).

ამრიგად, „შეჯიბრებითი პროცესის არსს ქმნის მხარეების შესაძლებლობა, წარმოადგინონ მტკიცებულებები, ახალი ფაქტობრივი გარემოებები... და ამით გავლენა მოახდინონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის 3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3. 75; საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის № 3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II.3.17).

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი დამატებით გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტით. აღნიშნულის სამართლიან სასამართლოს უფლებასთან მიმართებით მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს კონსტიტუცია ერთიანი დოკუმენტია, შესაბამისად აუცილებელია ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით მისი ნორმები და პრინციპები ერთმანეთთან კავშირში განიმარტოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის № 3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II. 3.13).

### **არაკონსტიტუციურობის შეფასების კრიტერიუმები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება „შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება #1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 15). ამასთან, შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაზომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის...(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/3/393,397 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1)“.

თავისმხრივ, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნას წარმოადგენს ის რომ დაწესებული შეზღუდვა იყოს მიზნის მიღწევის ა) გამოსადეგი და ბ) აუცილებელი საშუალება და ამასთან გ)უფლების შეზღუდვის ინტენსივობა უნდა იყოს მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული (საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 65). ხოლო „რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N#1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიაშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 19). შესაბამისად, უფლების შეზღუდვის თანაზომიერების შეფასებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს



უფლებაში ჩარევის ინტენსივობას (საქართველოს საკონსტიტუციო საამართლოს 2014 წლის 23 მაისის #3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II.პ.34).

### სსსკ-ს 136-ე მუხლის პირველი ნაწილის რეგულირების სფერო

სსსკ-ს 136-ე მუხლის პირველი ნაწილი მიემართება ისეთ ინფორმაციის გამოთხოვას, რომელიც ინახება ან კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში.

საპროცესო კოდექსი განმარტავს კომპიუტერული სისტემის ცნებას, ეს არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი) (სსსკ-ს მე-3 მუხლის 27-ე ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009). ხოლო კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას (სსსკ-ს მე-3 მუხლის 28-ე ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009).

როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლო 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინებაში საქმეზე #1გ/1245 (იხ. დანართი #2) მიუთითებს, ინფორმაციის გამოთხოვის რეჟიმში (სსსკ-ს 136-ე მუხლის პირველი ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009) ექცევა როგორც მომსახურების მომწოდებლისგან მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა, ასევე ნებისმიერი პირის კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვაც.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განმარტებულია მომსახურების მომწოდებლის ცნებაც. მომსახურების მომწოდებელია ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, ურთიერთობა განახორციელონ კომპიუტერული სისტემის საშუალებით. ასევე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ამუშავებს ან ინახავს კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ასეთი მომსახურების მომხმარებელთა სახელით (სსსკ-ის მე-3 მუხლის 29-ე ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009).

სადავო ნორმის თანახმად მხოლოდ პროკურორს აქვს უფლება სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. სასამართლოს მიერ აღნიშნული განჩინების გაცემა პროკურორს აძლევს შესაძლებლობას მათ შორის, მომსახურების მომწოდებლისგან, გამოითხოვოს კომპიუტერულ სისტემაში შენახული სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტი. თუმცა, მომსახურების მომწოდებლის გარდა სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია შესაძლებელია ინახებოდეს კერძო პირების კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერული მონაცემების შესანახ საშუალებაში, რომლებიც ასევე ექცევიან სადავო ნორმის რეგულირების სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ არ უზრუნველყოფენ მომხმარებლებს შესაძლებლობით, ურთიერთობა განახორციელონ კომპიუტერული სისტემის საშუალებით. ასევე, არ ამუშავებენ ან ინახავენ კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ასეთი მომსახურების მომხმარებლის სახელით. ისინი, უბრალოდ კომპიუტერულ სისტემაში (მაგალითად პერსონალურ კომპიუტერში) ინახავენ სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ასეთ შემთხვევაში სადავო ნორმის

რეგულირების სფეროს ობიექტია ინფორმაციის/დოკუმენტის ელექტრონული ფორმა. სადავო ნორმას საპროცესო კოდექსის სხვა ნორმებთან შედარებით კონტექსტში თუ განვიხილავთ ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების (სსსკ-ის 137-ე მუხლი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009) და შინაარსობრივი მონაცემთა მოპოვების (სსსკ-ის 138-ე მუხლი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009) დროს სასამართლოს მიერ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული განჩინება მიემართება მხოლოდ მომსახურების მომწოდებელს და მხოლოდ მისთვის არის სავალდებულო შესასრულებლად.

ამგვარად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის რეგულირების სფეროში ხვდება ელექტრონული ინფორმაციის გამოთხოვა კერძო პირების კომპიუტერის პროცესორებიდან, დისკებიდან და ფლემ-კარტებიდან და სხვა, ვინაიდან იგი წარმოადგენს ელექტრონული ფორმით დაცული ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთ სახეს.

აღსანიშნავია, რომ 136-ე მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი საგამომიებო მოქმედების შემოღება (კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა) უნდა განვიხილოთ, როგორც სსსკ-ის 112-ე მუხლით განსაზღვრული საგამომიებო მოქმედების კონკრეტული შემთხვევა. აღნიშნული განაპირობა ტექნოლოგიური განვითარების შედეგად ინფორმაციის/დოკუმენტის ელექტრონული ფორმის გავრცელებამ, რასაც სსსკ-ს 119-ე მუხლით გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედება - ამოღება ვერ ფარავს. სწორედ ამიტომ, აუცილებელი გახდა ელექტრონული ფორმით დაცული მტკიცებულების მოპოვების ახალი რეჟიმის შემოღება. სასამართლოს განჩინება კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის/დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე გულისხმობს, რომ პირმა, ვისაც განჩინება მიემართება, ბრალდების მხარეს უნდა გადასცეს მის კომპიუტერულ სისტემაში შენახული ინფორმაცია/დოკუმენტი.

განსხვავებულია ნორმის გამოყენების და განმარტების საკითხი პრაქტიკაში. თუ დავვის მხარე თვლის, რომ მისი პოზიციისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერული მონაცემის შესანახ საშუალებაში ინახება, მან შუამდგომლობით უნდა მიმართოს პროკურორს. ეს უკანასკნელი შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ გადაწყვეტს მიმართოს თუ არა სასამართლოს კომპიუტერული სისტემიდან მონაცემების გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე. იგივე მოსაზრებაა განვითარებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების სახელმძღვანელოში, 136-ე მუხლის ანალიზისას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015 წ. გვ. 423, პ.3.)

მიგვაჩნია, რომ განვითარებული პრაქტიკა საერთოდ მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ნორმიდან პირდაპირ არ იკითხება არც დაცვის მხარის უფლება კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართოს პროკურორს და ნორმიდან არც პროკურორის უფლებამოსილება შეამოწმოს დაცვის მხარის შუამდგომლობის დასაბუთებულობა და ამის შემდეგ მიმართოს სასამართლოს. არც სადავო ნორმის რაიმე სახით განმარტება იძლევა მსგავსი დასკვნის გაკეთების საშუალებას.

ასეთი პრაქტიკა უხეზად არღვევს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს, ვინაიდან პროკურორი გვევლინება დაცვის მხარის საგამომიებო მოქმედების ჩატარების საფუძვლიანობის შემფასებლად და საბოლოოდ მისი გადასაწყვეტია მიმართავს თუ არა სასამართლოს შუამდგომლობით. მაშინ, როცა სისხლის სამართლის პროცესში მხარეები სარგებლობენ მინიმუმ თანაბარი ფორმალური უფლებამოსილებით ჩაატარონ საგამომიებო მოქმედება, მოიპოვონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები.

**შეზღუდვის სავარაუდო მიზანი**

ნებისმიერი პროცედურული ნორმა, რომელიც უკავშირდება ამა თუ იმ საგამომიებო მოქმედების ჩატარებას მიზნად ისახავს დანაშაულის ეფექტური გამოძიების განხორციელებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების აღსრულებას და დამნაშავის დასჯას. თუმცა რა კონკრეტულ მიზანს ემსახურება მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმით გათვალისწინებული აბსოლუტური შეზღუდვა ბუნდოვანია. მითუმეტეს იმ პირობებში, რომ მოქმედი კანონმდებლობით მხარეებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები (სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009).

გარდა ეფექტური გამოძიების განხორციელებისა, დაწესებული შეზღუდვის მიზნად შესაძლოა განვიხილოთ მესამე პირთა უფლებაში (კერძო საკუთრება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) გაუმართლებელი ჩარევის პრევენციაც. საგულისხმოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით ბრალდების მხარეს აქვს შესაძლებლობა კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში საგამომიებო მოქმედება ჩაატაროს გადაუდებელი აუცილებლობით და შემდგომ მოახდინოს სასამართლო წესით მისი დაკანონება (სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009). აღნიშნულ უფლებამოსილებას (გადაუდებელი აუცილებლობით სასამართლოს ნებართვის გარეშე საგამომიებო მოქმედების ჩატარებას) მოკლებულია დაცვის მხარე (სსსკ-ის 111-ე მუხლის მეორე ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009) რაც განპირობებულია იმი ფაქტორით, რომ დაცვის მხარე მოქმედებს კერძო და პირადი ინტერესებით, შესაბამისად ამ შემთხვევაში მესამე პირთა უფლებებში უხეშად ჩარევის შესაძლებლობა უფრო მაღალია, ვიდრე იმ შემთხვევაში როდესაც საგამომიებო მოქმედებას ახორციელებს ბრალდების მხარე, რომლის უპირველეს ვალდებულებას წარმოადგენს საჯარო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედება და როგორც სახელმწიფო მოხელეს გააჩნია კონსტიტუციური ვალდებულება, დაიცვას ადამიანის უფლებები.

ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად შესაძლოა განვიხილოთ ა) დანაშაულის ეფექტური გამოძიება, ბ) მესამე პირთა უფლებებში (კერძო საკუთრება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) მომეტებული და დაუსაბუთებელი ჩარევის საფრთხე.

### **თანაზომიერება**

თუმცა, შეზღუდვის დაწესების გამამართლებელი ლეგიტიმური მიზნის არსებობის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმა არ პასუხობს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს. კერძოდ, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა არ არის მიზნის მიღწევის პროპორციული. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ბლანკეტური, აბსოლუტური ხასიათის აკრძალვა, რომელიც არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს, გარდა პრაქტიკით დადგენილისა. ამასთან შეზღუდვა არ არის დაბალანსებული კანონმდებლობით პირდაპირ გაწერილი რაიმე საპირწონე უფლებით, რომელიც გაამართლებდა დაწესებულ შეზღუდვას და მთლიან სამართალწარმოებას გახდიდა სამართლიანს. ის გარემოება, რომ დაცვის მხარეს უფლება აქვს პროკურორის მეშვეობით კომპიუტერული სისტემიდან გამოითხოვოს ინფორმაცია, მიგვაჩნია, რომ არის მახინჯი პრაქტიკა და არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შეზღუდვის დამაბალანსებელი საშუალება. ვინაიდან, დაცვის მხარის შუამდგომლობის მიუხედავად საბოლოოდ პროკურორის გადასაწყვეტია მიმართავს თუ არა სასამართლოს ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე. ამკარაა რომ უფლებაში ჩარევა ხდება მაღალი ინტენსივობით.

გასაჩივრებული ნორმის შინაარსიდან ნათელია, რომ დაცვის მხარეს სრულად ეზღუდება უფლება

---

ჩაატაროს მსგავსი საგამომიებო მოქმედება. მას არა თუ არ აქვს უფლება გადაუდებელი აუცილებლობით მოიპოვოს ელექტრონული ფორმით არსებული ინფორმაცია (როგორც ეს ჩხრეკა-ამოღების შემთხვევაშია), არამედ მოკლებულია შესაძლებლობას პირადად მიმართოს სასამართლოს კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის გაცემის თხოვნით.

მნიშვნელოვანია ნორმის გამოყენების განვითარებული პრაქტიკა. მაშინ როცა, ბრალდების მხარის კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის საფუძვლიანობას ამოწმებს სასამართლო, ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულია, რატომ უნდა ჰქონდეს იგივე შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემოწმების უფლებამოსილება პროკურორს და რატომ უნდა წყვეტდეს პროკურორი მიმართავს თუ არა სასამართლოს აღნიშნული შუამდგომლობით. მაშინ, როცა ჩხრეკისა და ამოღების შემთხვევაში კანონი პირდაპირ ადგენს დაცვის მხარის უფლებამოსილებას შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. ხოლო, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა, საგამომიებო მოქმედება - ამოღების კერძო შემთხვევად უნდა განვიხილოთ. შესაბამისად არაკონსტიტუციურია ნორმის გამოყენების პრაქტიკაც, როგორც ნორმის შინაარსი. ვინაიდან ნორმის გამოყენების პრაქტი იქცევა ნორმის შინაარსად.

საგულისხმოა, რომ როგორც საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, ლეგიტიმური მიზნის არსებობა, ისევე როგორც თანაზომიერება შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის აუცილებელია, რადგან შეზღუდვები არ უნდა ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, I.3.1) . გასაჩივრებული ნორმა, სწორედაც რომ, აწესებს ისეთ შეზღუდვას, რაც ამცირებს დაცვის მხარის ხელმისაწვდომობას უფლებაზე იმდენად, რომ ლახავს თავად ამ უფლების არსს და აქცევს მას ილუზორულად.

## **2. სსსკ-ის 120-ე მუხლის მეათე ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-8 პუნქტთან მიმართებით**

### **ა) სადავო ნორმის არსი**

სადავო ნორმის თანახმად, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად მხოლოდ ბრალდების მხარე სარგებლობს ამ პრივილეგიით, დაცვის მხარე მოკლებულია შესაძლებლობას პირველმა გამოიკვლიოს ბრალდების მხარის მიერ შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სადავო ნორმის მიხედვით დაცვის მხარე ევალება ბრალდების მხარეს პირველადი გამოკვლევისთვის გადასცეს მისი შუამდგომლობით ამოღებული, მისივე ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც.

მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას. კერძოდ, ის არღვევს სამართლიან სასამართლოს უფლების კომპონენტებს: შეჯიბრებითობის და თანასწორობის, ასევე ბრალდებულის თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრინციპებს. ამგვარად იგი წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 და პირველ პუნქტებთან.

## ბ) შესაბამისობა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-8 პუნქტთან

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირის/ბრალდებულის თვითინკრიმინაციისგან დაცვას განიხილავს, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვაკუთხედს (John Murray v. The United Kingdom §44). ბრალდებულის თვითინკრიმინაციისგან დაცვაში კი მოიაზრებს მის სხვადასხვა სახეს, როგორცაა ბრალდებულის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ (დუმილის უფლება). ასევე, უფლებას ბრალდების მხარეს არ მიაწოდოს ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რაც მის ბრალეულობას დაადასტურებდა. საქმეში Funke v. France ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის იძულების მცდელობა წარმოედგინა მტკიცებულებები იმ დანაშაულზე, რომელიც სავარაუდოდ თავადვე ჩაიდინა იყო კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, კერძოდ არღვევდა მის დუმილის უფლებას და საკუთარი თავის ინკრიმინაციის ხელშეწყობის აკრძალვას (Funke v. France §44).

შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის დაცულ სფეროში ექცევა ზოგადად პირის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება, ხოლო ამავე მუხლის მე-8 პუნქტით არის სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული სფეროს სპეციალური შემთხვევა და წარმოადგენს თვითინკრიმინაციისგან დაცვის ისეთი სახე, როგორცაა პირის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი ან იმ ახლობელთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ 42-ე მუხლის მერვე პუნქტი მოიცავს მხოლოდ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პ.4). **აღნიშნული მსჯელობით კი სასამართლომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტით დაცული სფეროდან გამორიცხა საკუთარი თავის საწინააღმდეგო სხვა სახის მტკიცებულების ბრალდებისთვის გადაცემისგან თავის შეკავების უფლება.** თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ ამოწურა აღნიშნული ნორმის განმარტების რესურსი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის დამახასიათებელია დროთა განმავლობაში და რიგ საკითხებთან მიმართებაში საკუთარი პრაქტიკისა და მიდგომების ცვლილება. საგულისხმოა, რომ სასამართლომ სწორედ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში (2003 წლის 29 იანვრის) ჩამოყალიბებული მიდგომები შეცვალა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტთან მიმართებაში. საქმეში საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლომ აღნიშნა: „საკონსტიტუციო სასამართლო გამოხატავს პატივისცემას ხსენებული გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო შემადგენლობის მიმართ, ამასთან, ადასტურებს, რომ ეს გადაწყვეტილება იყო უდავოდ პროგრესული კონსტიტუციური მართლმსაჯულებისა და სამართლის განვითარების პროცესში. თუმცა, იმავდროულად, მიიჩნევს, რომ არსებობს შესაძლებლობა და საჭიროება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის განსხვავებული, ადამიანის უფლებების სასარგებლო განმარტებისთვის.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II.3.7).

მოცემულ შემთხვევაშიც, მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების გარდა, მის დაცვის სფეროში უნდა მოექცეს ბრალდების მხარისთვის საკუთარი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა სახის

მტკიცებულების გადაცემისგან თავის შეკავების უფლებაც, განსაკუთრებით მაშინ როცა სისხლის სამართლის პროცესი აღარ არის ინკვიზიციური და მხოლოდ მხარის პრეროგატივაა გადაწყვიტოს რომელ მტკიცებულებას წარადგენს სასამართლოში და დააფუძნებს საკუთარ სტრატეგიას.

კანონმდებლის მიერ საკუთარი და კანონით განსაზღვრულ ახლო ნათესავთა წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების უფლების ცალკე პუნქტად გამოყოფა, რომელიც თავისმხრივ სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, განპირობებულია ამ უფლების მნიშვნელობით. კანონმდებლის მიზანი ამ შემთხვევაში იყო ნორმის დაცვის განსაკუთრებულ სფეროში მოექცია პირის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება. ამ უფლების დარღვევის საფრთხე კი თანაბრად შესაძლებელია როგორც საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემით, ასევე, საკუთარი თავის წინააღმდეგ სხვა სახის მტკიცებულების გამჟღავნებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმა წინააღმდეგობაში მოდის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ თვითინკრიმინაციის აკრძალვის და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით დაცულ თვითინკრიმინაციის აკრძალვის სპეციალურ შემთხვევასთან, როგორცაა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება.

**დ) შესაბამისობა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის სავარაუდო დარღვევა)**

ზემოთ უკვე განვიხილეთ შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპის მიმართება სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. გამომდინარე აქედან, იგივე მსჯელობას აღარ გავიმეორებთ და მხოლოდ სადავო ნორმის სამართლებრივი ანალიზით შემოვიფარგლებით.

საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმა 2013 წლის 14 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონით მიიღო და გარდამავალი დებულებით ნორმა ძალაში 2014 წლის პირველ სექტემბერს შევიდა. ამავე კანონის თანახმად დაცვის მხარეს მიენიჭა სასამართლოს განჩინებით ჩხრეკისა და ამოღების უფლება, რაც ასევე 2014 წლის 1 სექტემბერს შევიდა ძალაში. თუმცა, ამის პარალელურად წინამდებარე კანონის თანახმად დაცვის მხარისთვის სასამართლოს განჩინებით ჩხრეკისა და ამოღების უფლების მინიჭების თაობაზე ნორმების ძალაში შესვლის დღიდან, ძალადაკარგულად გამოცხადდა დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლება (სსსკ-ის 84-ე მუხლი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009). ამ უკანასკნელის მიხედვით, დაცვის მხარეს უფლება ჰქონდა საქმის არსებით განხილვისას წარედგინა ბრალდების მხარისთვის უცნობი ერთი მტკიცებულება, რომელიც მას დაცვის სტრატეგიისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

ზემოთ ნახსენები კანონპროექტის თაობაზე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებულ დასკვნაში (იხ. დანართი #3, გვ.2, პ.2) ვკითხულობთ, რომ დაცვის მხარისთვის ჩხრეკის და ამოღების უფლების მინიჭების პარალელურად ბრალდების მხარის პირველადი გამოკვლევის უფლებით აღჭურვა ემსახურება შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებას. მიგვაჩნია, რომ ეს არგუმენტი საფუძველს მოკლებულია შემდეგი მიზეზის გამო: დაცვის მხარისთვის ჩხრეკის და ამოღების უფლების მინიჭებამდე მიიჩნეოდა, რომ მხარეები უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამ უთანასწორობის დასაბალანსებლად დაცვის მხარე სარგებლობდა საგამონაკლისო უფლებით, რაც მას საქმის არსებით განხილვაზე ბრალდების მხარისთვის უცნობი მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობას აძლევდა. შესაბამისად, ბრალდების მხარე მოუმზადებელი ხვდებოდა დაცვის მხარის ახალ მტკიცებულებას, რაც ასუსტებდა მის პოზიციას.

შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად ლოგიკური იყო დაცვის მხარისთვის ჩხრეკის და ამოღების უფლების მინიჭების პარალელურად საგამონაკლისო უფლების ჩამორთმევა. თუმცა, ამ ყველაფრის ფონზე, ბრალდების მხარისთვის დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლების დაკანონებამ წარმოშვა ახალი უთანასწორობა და ბრალდების მხარეს მიაჩნია დაუსაბუთებელი პრივილეგია. როგორც ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, მხარეთა შეჯიბრებითობა გულისხმობს მათ თანაბარ შესაძლებლობას მოიპოვონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები. სადავო ნორმა კი - ადგენს დაცვის მხარის უფლების ბლანკეტურ შეზღუდვას, მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებს რა მეორე მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად სამართლიანი სასამართლოს უფლება „შიდილება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება #1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 15). ამასთან, შეზღუდვები უნდა ემსახურობდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაზომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის... (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/3/393,397 საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 1)“.

თავისმხრივ, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნას წარმოადგენს ის რომ დაწესებული შეზღუდვა იყოს მიზნის მიღწევის ა) გამოსადეგი და ბ) აუცილებელი საშუალება და ამასთან გ) უფლების შეზღუდვის ინტენსივობა უნდა იყოს მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული (საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე “დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 65). ხოლო “რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის” (საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N#1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 19). შესაბამისად, უფლების შეზღუდვის თანაზომიერების შეფასებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლებაში ჩარევის ინტენსივობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის 3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” II.3.34)

როგორც სადავო ნორმის განმარტებითი დოკუმენტიდან ირკვევა, მისი შემოღების მიზანია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცება. თუმცა, ნორმა ბლანკეტურად თავად ზღუდავს იმ მიზანს, რის განმტკიცებასაც უნდა ემსახურობდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა „საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ წესი, რომელიც გამორიცხავს მიზნის მიღწევას, შიდილება გამართლებულ იქნეს ამ მიზნის მიღწევის საშუალების, ამ შემთხვევაში შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის #3/1/608,609 გადაწყვეტილება - საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინება). ნათელია, რომ შეზღუდვა იწვევს მხარეთა არსებით უთანასწორობას, თუმცა ამ შემთხვევაში გაუმართლებელი იქნება მხარეთა თანასწორობის პოზიტიური აღდგენა, დაცვის მხარისთვის ანალოგიური უფლების მინიჭების გზით. რადგან, თავის მხრივ, შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცების მიზნის მიღწევის საშუალება (სადავო ნორმა), გვევლინება სხვა ფუნდამენტური პრინციპის მზღუდავ გარემოებად. რაც გულისხმობს იმას, რომ დაცვის მხარესაც რომ



---

მიეცეს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების პირველადი გამოკვლევის უფლება, მიუხედავად მხარეთა თნასწორობის აღდგენისა, დარჩება თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრინციპის დარღვევის საფრთხე. დაცვის მხარე მაინც იქნება ვალდებული ბრალდებას გადასცეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

გამომდინარე აქედან, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს.

---

### III. შუამდგომლობები [შენიშვნა 6](#)

ა. შუამდგომლობა (შუამდგომლობები) მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე. [შენიშვნა 7](#)

ბ. შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე. [შენიშვნა 8](#)

გ. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის შუამდგომლობები. [შენიშვნა 9](#)

---

შენიშვნა 6 - მოსარჩელეს შეუძლია წარმოადგინოს დასაბუთებული შუამდგომლობა საქმეზე მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე; არსებითი განხილვის ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარების შესახებ; სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე და სხვ.

შენიშვნა 7 - დასაბუთებაში უნდა მიუთითოთ, თუ კონკრეტულად რატომ იწვევთ შესაბამის მოწმეს, ექსპერტს ან/და სპეციალისტს და განსახილველი საქმის გადასაწყვეტად რა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წარმოდგენა შეუძლიათ მათ. (ქვემოთ მოყვანილ ველში, გთხოვთ, მიუთითოთ ვისი მოწვევა გასურთ – მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის, ხოლო შემდეგ მათი ვინაობა, პროფესია, სამუშაო ადგილი და საკონტაქტო ინფორმაცია).

შენიშვნა 8 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში სასამართლოს წარმოდგინოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

შენიშვნა 9 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში სასამართლოს წარმოდგინოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ შუამდგომლობის საფუძვლიანობას.

## IV. თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სავალდებულოა ერთვოდეს სარჩელს (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

1. სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი.
2. მოსარჩელის წარმომადგენლის (წარმომადგენელთა) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია.

ბ. სხვა დოკუმენტები:

1. 2015 წლის 30 სექტემბრის ახალციხის რაიონული სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის თამარ ობოლაშვილის #მ/3309-15წ წერილი - 1 ფურცლად;
2. 2013 წლის 01 მაისის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა #14735 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით - 4 ფურცლად
3. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 09 დეკემბრის #1გ/1245 განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ - 4 ფურცლად

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი მოვალენი არიან, კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი)

მოსარჩელის ხელმოწერა:

თარიღი: